სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო

ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 230 51 65
info@youthagency.gov.ge

04 / აპრილი / 2025 წ.

KARR1734308833825

№ 01/232

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ ჯაბა სამუშიას

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ დავით გურგენიძეს

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ ზურაბ ხონელიძეს

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ირაკლი ნატროშვილს

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
ქალბატონ ნინო დობორჯგინიძეს

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მხარდაჭერა და გაძლიერება, მათთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზება. სწორედ ამიტომ, **წელს პირველად გამოცხადდა საგრანტო კონკურსი სტუდენტებისთვის.**

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელიც საგრანტო პროექტის განხორციელების მიზნით (პროექტის ადმინისტრირებისთვის) საინიციატივო ჯგუფში აერთიანებს აქტიური სტატუსის მქონე არანაკლებ 5 სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს.

კონკურსის ფარგლებში განაცხადები მიიღება **2025 წლის 31 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით.**

ამასთანავე, კონკურსში მონაწილეობისთვის და შემდგომ პროექტის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მჭიდრო თანამშრომლობა/მხარდაჭერა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ამავე დროს, ითანამშრომლოთ კონკურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებთან, წერილობით დაადასტუროთ მხარდაჭერა და პროექტის დაფინანსების შემთხვევაში აღმოუჩინოთ შესაბამისი დახმარება.

საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://emis188-my.sharepoint.com/:f:/g/personal/n_karalashvili_youthagency_gov_ge/EqQrun18CdhElBLxMptFmv4Bq8Od-NleBKubooYyGdQQbQ?e=cmKEBC

შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტაზე - Grants-3@youthagency.gov.ge ან/და ტელეფონის ნომრებზე - 032 230 51 65; 595 294 901; 598 932 300.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

პატივისცემით,

სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგ ბააკაშვილი